03/05/2023

ირაკლი ფარჯიანის დაბრუნება



როგორც ცნობილია, ფონდმა ,,ათინათი“-მ, რომელიც გამოირჩევა ქართველი მხატვრების ნამუშევრების წარმოჩენით, ახლახანს ირაკლი ფარჯიანის ნახატების გამოფენა მოაწყო, რასაც ქართული საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა. ამ პერიოდში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს ირაკლი ფარჯიანის ქალიშვილი, – სოფიო ფარჯიანი და მისი სახელობის ფონდის ხელმძღვანელი, – ბ-ნი მიხეილ ჯიქია ეწვივნენ. მათ მის უწმინდესობას და უნეტარესობას საჩუქრად გადასცეს უნიკალური გამოცემები: ირაკლი ფარჯიანის მიერ გადაწერილი მარკოზისა და იოანეს სახარებები მინიატურებით.

ათეისტურ პერიოდში თავისი სიყვარული ღვთისადმი მან საოცარი სახით გამოხატა, – შუასაუკუნეების დიდოსტატთა მსგავსად, გადაწერა ორი სახარება (მეტი ვერ მოასწრო) და უმშვენიერესი თანამედროვე მინიატურებით გაამშვენა, რითაც სათავე დაუდო ფარჯიანისეულ სტილს.

ირაკლი ფარჯიანი 70-ანი წლების ბოლოს, მის თანამედროვე თვალსაჩინო ახალგაზრდებთან ერთად მოვიდა ეკლესიაში, საკუთარი ნამუშევრები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს გააცნო და კურთხევაც მიიღო.





ოჯახები და







წმ.
სახარება
იოანესი

patriarchate.ge